ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6111091

ნომერი: AR1921223

თარიღი : 05.09.2022

გაცემის თარიღი : 07.09.2022

გაცნობის თარიღი : 07.09.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზარწემის ქ. N 16; ქალაქი თბილისი , ზარწემის ქ. N 16; ქალაქი თბილისი , ზარწემის ქ. N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მილენა ცუცქირიძე პ/ნ 01001090860
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VI მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 36

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:
ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწის გამიჯნვასთან დაკავშირებით სამსახურმა უკვე იმსჯელა ბრძანება № 6095789-ით, რომლის მიხედვითაც 1 პუნქტის თანახმად : შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28/06/2019წ. № 4552786 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი N 01.14.16.009.505 ფართობი 630 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N 882022478010; რეგისტრაციის თარიღი 27/07/2022 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882022478010, რეგისტრაციის თარიღი 27/07/2022წ.); საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი N 01.14.16.009.506 ფართობი 630 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N 882022478010; რეგისტრაციის თარიღი 27/07/2022წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882022478010, რეგისტრაციის თარიღი 27/07/2022წ.); საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი N 01.14.16.009.504 ფართობი 622 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N 882022478010; რეგისტრაციის თარიღი 27/07/2022წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882022478010, რეგისტრაციის თარიღი 27/07/2022წ.); დაფიქსირდეს 1 ინდივიდუალური სახცოვრებელი სახლი თვითოეული ნაკვეთისთვის.
შესაბამისად აღნიშნული გაპი ეხება სამივე საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს.
ვინაიდან აღნიშნული განცხადებითაც ითხოვთ იგივეს თქვენი მოთხოვნა გაურკვეველია, გთხოვთ დააზუსტოთ.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.